

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება

№1/498

08.11.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული
პირის -

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორთა და
დისპეტჩერთა

შერჩევისა და მომზადების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა შერჩევისა და მომზადების თანდართული წესი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა შერჩევისა და მომზადების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 მარტის №1/130 ბრძანება.
3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი) დაევალოს ბრძანების ვებგვერდზე (info.police.ge) ოფიციალური წესით გამოქვეყნება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი **ვახტანგ გომელაური**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა

შერჩევისა და მომზადების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის (შემდგომში - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“) ოპერატორთა და დისპეტჩერთა შერჩევისა და მომზადების წესი (შემდგომში - წესი) ადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორებისა და დისპეტჩერების შერჩევის წესსა და პირობებს, კანდიდატთა შესარჩევი კომისიის საქმიანობის წესს, სპეციალური და მომზადების კურსის გავლის წესსა და სხვა პროცედურულ საკითხებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ოპერატორი** - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატიული მართვის სამმართველოს ცვლაში მომუშავე მოსამსახურე, რომლის სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობები უშუალოდ უკავშირდება

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების მიღებას და მათ დამუშავებას შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში საქმის რეგისტრაციის გზით;

ბ) **დისპეტჩერი** - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატიული მართვის სამმართველოს ცვლაში მომუშავე მოსამსახურე, რომლის სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობები უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში რეგისტრირებული საქმის შესახებ ინფორმაციის უფლებამოსილი სამსახურებისთვის გადაცემას;

გ) **სპეციალური კურსი** - ოპერატორის ან/და დისპეტჩერის სამუშაო სპეციფიკისთვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის, ცოდნისა და უნარების შემსწავლელი პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელიც შედგება პროგრამული, თეორიული, პრაქტიკული და საგამოცდო კომპონენტებისგან და რომელზეც ოპერატორობის ან/და დისპეტჩერობის კანდიდატი ირიცხება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესით;

დ) **სერტიფიკატი** - სპეციალური კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ფორმასა და გაცემის წესს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორი;

ე) **პრაქტიკული სწავლება** - სპეციალური კურსის პრაქტიკული კომპონენტი, რომლის ეტაპებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორი;

ვ) **ProQA** - ინციდენტის ტიპებისა და საქმის პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამა, რომელსაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ იყენებს საგანგებო სიტუაციებსა და გადაუდებელი დახმარების გაწევის აუცილებლობის შემთხვევებში შემოსულ შეტყობინებებზე პირველადი რეაგირებისას, ინციდენტის პრიორიტეტის მაღალი სიზუსტით დადგენისა და შესაბამისი პირველი გადაუდებელი დახმარების სატელეფონო ინსტრუქციების დროული მიწოდების მიზნით;

ზ) **Priority Dispatch Corporation** - ორგანიზაცია, რომელიც გასცემს ProQA-ს გამოყენების ლიცენზიას, უზრუნველყოფს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებისა და მართვის ხარისხის გაუმჯობესებას, პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებასთან დაკავშირებული სასწავლო მასალის შექმნას, სპეციალური კურსის გავლის შემდგომ ოპერატიული მართვის

სამმართველოს მოსამსახურეთა მიერ შესრულებული გამოცდის შეფასებასა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემას;

თ) **განცხადება** - ოპერატორის ან დისპეტჩერის პოზიციაზე კანდიდატთა შერჩევის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია;

ი) **განაცხადი** - ოპერატორის ან დისპეტჩერის შერჩევის მიზნით კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

კ) **კანდიდატთა შესარჩევი კომისია** - კანდიდატის შერჩევისა და შეფასების მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია, რომლის შემადგენლობაც მტკიცდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ლ) **სასწავლო ცენტრი** - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს სასწავლო ცენტრი (განყოფილება);

მ) **მენტორ-ოპერატორი** - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებსა და შერჩევის წესს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორი.

მუხლი 3. კანდიდატთა შერჩევის გამოცხადება და განაცხადის წარდგენა

1. კანდიდატთა შერჩევის შესახებ ინფორმაცია ცხადდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.112.gov.ge შესაბამისი განცხადების გამოქვეყნების გზით. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატიული მართვის სამმართველოსთან და ამავე სამმართველოს კურატორთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით, განცხადება დამატებით შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა ვებგვერდზეც, რომელიც გამოიყენება მსგავსი კატეგორიის განცხადებების საძიებო მიზნებისთვის.

2. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) კანდიდატთა შერჩევის განმახორციელებელი უწყების დასახელებას;

ბ) კანდიდატთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

გ) განაცხადის გასაკეთებლად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს (საჭიროების შემთხვევაში), მათი წარდგენის ვადასა და ფორმას;

დ) კანდიდატთა შერჩევის ეტაპებს;

ე) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადას;

ვ) სპეციალური კურსის ხანგრძლივობას;

ზ) მითითებას იმის თაობაზე, რომ კანდიდატი განაცხადის წარდგენით თანახმაა მისი საკონტაქტო და პერსონალური მონაცემები საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-მა ოპერატორთა სარეზერვო ბაზის წარმოების მიზნით შეინახოს და დაამუშაოს განაცხადის წარდგენიდან 3 (სამი) წლის ვადით.

3. კანდიდატთა შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილებით განცხადებაში შესაძლებელია აისახოს სხვა ინფორმაცია.

4. კანდიდატის მიერ განცხადებაში მითითებული ვადის დარღვევით წარდგენილი განაცხადი არ განიხილება.

მუხლი 4. კანდიდატთა შესარჩევი კომისიის საქმიანობის წესი

1. კანდიდატთა მიმართ წასაყენებელი მოთხოვნების, განცხადებების გადარჩევის/განხილვის, ტესტირების ჩატარების, გასაუბრების უზრუნველყოფისა და აღნიშნულის საფუძველზე კანდიდატთა შეფასების მიზნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კანდიდატთა შესარჩევი კომისია (შემდგომში - კომისია).

2. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია კომისიის წევრთაგან განსაზღვროს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (თანათავმჯდომარე).

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის, თვითაცილების ან მის მიერ უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5. შერჩევის თითოეული ეტაპის სპეციფიკის გათვალისწინებით, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემით ან ხმათა უმრავლესობით.

6. ხმათა უმრავლესობით მისაღები გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭირს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც კანდიდატის ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად სასურველია შესაბამისი პირის/სპეციალისტის მოწვევა, კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია იშუამდგომლოს საზოგადოებრივი

უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორთან ხმის უფლებით ან ხმის უფლების გარეშე აღნიშნული პირის/სპეციალისტის მოწვევის შესახებ.

8. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. ამ წესის შესაბამისად კანდიდატთა მიერ წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას, ასევე კანდიდატთა მიერ შერჩევის თითოეული ეტაპის მიხედვით მიღებულ შედეგებს აღრიცხავს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახავს კომისიის სამდივნო.

მუხლი 5. კომისიის წევრის აცილება

1. კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს თვითაცილება, თუ კანდიდატი არის მისი ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან/და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი ან/და და-ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები). ასევე, თუ არის სხვა გარემოებები, რომელიც ექვს იწვევს კომისიის წევრის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი სხვა კანდიდატების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

4. კომისიის თავმჯდომარის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 6. შერჩევისა და მომზადების ეტაპები

1. კანდიდატთა შერჩევა და მომზადება ხდება შემდეგი ეტაპების შესაბამისად:

ა) განაცხადების გადარჩევა;

ბ) ტესტირება;

გ) გასაუბრება;

დ) სპეციალური კურსის გავლა.

2. კანდიდატი ყოველ შემდეგ ეტაპზე გადადის წინა ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში.

3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ უფლებამოსილია ამ წესით გათვალისწინებული შერჩევისა და სპეციალური კურსის გავლის გარეშე დანიშნოს:

ა) მოსამსახურეები, რომლებიც დისპეტჩერის ან ოპერატორის პოზიციიდან თანამდებობრივი გადაადგილების შემდეგ კვლავ დაბრუნდებიან აღნიშნულ პოზიციებზე;

ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ყოფილი მოსამსახურეები (ოპერატორი/დისპეტჩერი), რომელთა სამსახურიდან გათავისუფლებიდან არ არის გასული 4 თვე;

გ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ყოფილი მოსამსახურეები (ოპერატორი/დისპეტჩერი), რომელთა გათავისუფლებიდან გასულია 4 თვიდან 12 თვემდე.

შენიშვნა: მოცემულ შემთხვევაში დანიშნა ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

მუხლი 7. განაცხადების გადარჩევა

1. კანდიდატთა მიერ წარდგენილი განაცხადების შეფასება და გადარჩევა ხდება კომისიის მიერ.

2. განაცხადის გადარჩევის ეტაპზე ხდება კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

3. თუ კანდიდატის მიერ წარდგენილი განაცხადი ან/და სხვა დოკუმენტაცია შეიცავს ტექნიკურ უზუსტობებს ან დოკუმენტები არასრულად არის წარდგენილი, კომისია უფლებამოსილია კანდიდატს განუსაზღვროს დამატებითი ვადა დოკუმენტაციის წარსადგენად.

4. კანდიდატი წარმატებით ვერ გაივლის განაცხადის განხილვის ეტაპს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად ვერ აკმაყოფილებს განაცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანდიდატის მიერ არ იქნება წარდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია ან ხარვეზი არ აღმოიფხვრება დადგენილ ვადაში.

5. განაცხადების გადარჩევის საფუძველზე განისაზღვრება იმ კანდიდატთა სია, რომელთაც წარმატებით გაიარეს აღნიშნული ეტაპი.

მუხლი 8. ტესტირება და გასაუბრება

1. ტესტირების ეტაპზე ხდება კანდიდატის საბაზისო ცოდნის ან/და სხვა საჭირო უნარების შეფასება. ტესტირების ფორმატს, გამსვლელ და მაქსიმალურ ქულათა რაოდენობებს ადგენს კომისია.

2. გასაუბრების ეტაპზე, კომისიის მიერ ხდება ოპერატორის/დისპეტჩერის სამუშაო სპეციფიკასთან კანდიდატის ცოდნის, უნარებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის დადგენა. გასაუბრების ეტაპზე, კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმებს, გამსვლელ და მაქსიმალურ ქულათა რაოდენობებს ადგენს კომისია.

მუხლი 9. სპეციალური კურსი

1. სპეციალურ კურსზე კანდიდატთა სწავლებას და მომზადებას უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრი.

2. სპეციალური კურსის ხანგრძლივობა არის 284 (ორას ოთხმოცდაოთხი) საათი, რომელიც შედგება თეორიული და პრაქტიკული სწავლებისგან.

3. თეორიული სწავლება შედგება 6 (ექვსი) თეორიული მოდულისგან:

ა) „შესავალი პროფესიაში“ - მოდული მოიცავს ტიპიური სამუშაო გარემოს ანალიზსა და ძირითად სამართლებრივ საკითხებს (დანართი №1);

ბ) „შრომის უსაფრთხოება“ - მოდული მოიცავს შრომის უსაფრთხოების ძირითადი წესებს (დანართი №2);

გ) „ეფექტური კომუნიკაცია“ - მოდული მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებული კომუნიკაციის, ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და სტრესის მართვის საკითხებს (დანართი №3);

დ) „ინფორმაციული წიგნიერება“ - მოდული მოიცავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის პროგრამული უზრუნველყოფის საკითხებს (დანართი №4);

ე) „გეოგრაფია“ - მოდული მოიცავს საქართველოს ტერიტორიული მოწყობისა და პოლიციის სამოქმედო ტერიტორიების საკითხებს (დანართი №5);

ვ) „ზოგადი კურსი სამედიცინო თემატიკაში“ - მოდული მოიცავს საჭირო სამედიცინო საკითხებს (დანართი №6).

4. თითოეული მოდულის დასრულების შემდგომ, მოდულის ფარგლებში ათვისებული ცოდნის შემოწმების მიზნით, ტარდება ტესტირება.

5. თეორიული სწავლების ყველა მოდულის დასრულების შემდგომ, ჯამდება კანდიდატის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ტესტირებებში მიღებული ქულები და იანგარიშება საშუალო არითმეტიკული. იმ შემთხვევაში, თუ შედეგი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ტესტირებების მაქსიმალური შეფასების ჯამის საშუალო არითმეტიკულის 80% - დან 90% - მდე იქნება, კანდიდატი შემაჯამებელ ტესტირებაზე მიიღებს 5 დამატებით ქულას, ხოლო თუ შედეგი 90%-დან 100%-მდეა - 10 დამატებით ქულას.

6. თეორიული სწავლების ყველა მოდულის დასრულების შემდგომ თეორიული მასალის ცოდნის შემოწმება ხდება ტესტირების გზით. ტესტირება წარმატებით ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ კანდიდატი ამ მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით დააგროვებს მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60%-ს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდის თითოეული კომპონენტის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა გაიაროს პრაქტიკული სწავლება.

8. ოპერატორობის კანდიდატი პრაქტიკულ სწავლებას გადის მენტორ-ოპერატორთან.

9. პრაქტიკული სწავლება წარმატებით გავლილად ჩაითვლება და პირს სერტიფიკატი გადაეცემა, თუ კანდიდატი პრაქტიკული სწავლების შემდგომ „სიმულაციურ გამოცდაზე“ დააგროვებს მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60%-ს (დანართი №7).

მუხლი 10. კანდიდატთა მიღება საგამონაკლისო წესით

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ უფლებამოსილია შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის, საგამონაკლისო წესით, მინისტრთან ან კურატორი მინისტრის მოადგილესთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით თანამდებობაზე დანიშნოს მოსამსახურე (ოპერატორი, დისპეტჩერი) 2 კვირიანი სპეციალური თეორიული კურსის „ინფორმაციული წიგნიერება“ (დანართი №4) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

მუხლი 11. კანდიდატთა დასაქმება

ოპერატორის ან დისპეტჩერის პოზიციაზე იმ პირთა დასაქმება, რომელთაც წარმატებით გაიარეს ამ წესით გათვალისწინებული შერჩევისა და მომზადების ყველა ეტაპი, შეიძლება განხორციელდეს „საქართველოს შინაგან სამინისტროს სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებისა და სამსახურის გავლის მომწესრიგებელი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 12. „ProQA“-ს მომზადების კურსი

1. ProQA-ს მომზადების კურსს (შემდგომში - მომზადების კურსი) გადიან ოპერატიული მართვის სამმართველოს მოსამსახურეები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური კურსი და აქვთ ოპერატორად ან/და დისპეტჩერად მუშაობის არანაკლებ 6 თვიანი გამოცდილება.

2. მომზადების კურსის ხანგრძლივობა არის 103 (ას სამი) საათი, რომელიც შედგება თეორიული და პრაქტიკული სწავლებისაგან.

3. მომზადების კურსის თეორიულ სწავლებას უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრი, პრაქტიკულ სწავლებას - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ადმინისტრაციის (სამმართველო) ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახური.

4. მომზადების კურსი შედგება 3 მოდულისაგან:

ა) საპოლიციო დისციპლინის (Police Priority Dispatch System - PPDS) მართვა (დანართი №8);

ბ) სახანძრო-სამაშველო დისციპლინის (Fire Priority Dispatch System - FPDS) მართვა (დანართი №9);

გ) სასწრაფო-სამედიცინო დისციპლინის (Medical Priority Dispatch System - MPDS) მართვა(დანართი №10).

5. მომზადების კურსის თეორიულ სწავლებაზე მსმენელთა დასწრება-აღრიცხვას უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრი დანართი №11-ის შესაბამისად.

6. თეორიული სწავლების შემდგომი გამოცდის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრი, ხოლო ნაშრომების შეფასებას - Priority Dispatch Corporation. მსმენელი არ დაიშვება ტესტირებაზე, თუ მას გაცდენილი აქვს თეორიული სწავლების რომელიმე დღე მაინც.

7. გამოცდის შეფასებისას მოქმედებს შემდეგი წესი:

ა) თუ პირი გამოცდაზე დააგროვებს გამოცდის მაქსიმალური შეფასების 80%-ს ან მეტს, გამოცდა ითვლება წარმატებით ჩაბარებულად;

ბ) თუ პირი გამოცდაზე დააგროვებს გამოცდის მაქსიმალური ქულის 65%-79%-ს, უფლება აქვს მომზადების თეორიული კურსის გავლის გარეშე განმეორებით ჩააბაროს გამოცდა;

გ) თუ პირი დააგროვებს გამოცდის მაქსიმალური ქულის 65%-ს ან ნაკლებს, პირი ვალდებულია ხელახლა გაიაროს თეორიული კურსი და ჩააბაროს გამოცდა.

8. ProQA-ს მომზადების კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი გაიცემა Priority Dispatch Corporation-ის მიერ. სერტიფიკატის მოქმედების ვადაა 2 წელი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ პირი ვალდებულია ხელახლა გაიაროს მომზადების კურსი და ჩააბაროს გამოცდა.

მოდული - შესავალი პროფესიაში

1. ზოგადი ინფორმაცია

სახელწოდება:	შესავალი პროფესიაში
მოდულზე დაშვების წინაპირობა:	ოპერატორობის და დისპეტჩერობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ტესტირებისა და გასაუბრების წარმატებით გავლა.
მოდულის აღწერა:	მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: სამუშაო გარემოს ანალიზი; ოპერატორის/დისპეტჩერის სამუშაო გარემოს ორგანიზება; საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის აღწერა; სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი სამართლებრივი საკითხების განხილვა.

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
<p>1. სფეროში ტიპური სამუშაო გარემოს ანალიზი</p>	<p>1. აღწერს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ორგანიზაციულ მოწყობას;</p> <p>2. აღწერს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა სამუშაო პროცესს;</p> <p>3. აღწერს სამუშაოზე მიღების პირობებს, პროცედურას, დოკუმენტაციას.</p>	<p>სამუშაო რეჟიმი: სამუშაო დღის ხანგრძლივობა, მუშაობა ცვლებში, სამუშაო გარემო (ღია სივრცე, დახურული შენობა, ხმაური, სიმაღლე და სხვა).</p>	<p>ტესტური დავალება</p>
<p>2. მოქმედი ძირითადი სამართლებრივი საკითხებისა და ნორმატიული აქტების ანალიზი</p>	<p>1. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე აღწერს სამართლის ზოგად პრინციპებს;</p> <p>2. აღწერს საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობას;</p> <p>3. აღწერს სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს და შესაბამის ნორმატიულ აქტებს;</p> <p>4. აღწერს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურას;</p> <p>5. აღწერს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ორგანიზაციულ მოწყობას;</p> <p>6. აღწერს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ზარის მიმღებ დარბაზში ქცევის სტანდარტს;</p> <p>7. განმარტავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატიული მართვის სამმართველოს მომსახურების სტანდარტს;</p>	<p>1. საქართველოს კონსტიტუცია;</p> <p>2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;</p> <p>3. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 დეკემბრის №337 დადგენილება;</p> <p>4. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების</p>	<p>ტესტური დავალება</p>

	<p>8. ჩამოთვლის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მომიჯნავე სამსახურებსა და აღწერს მათ ფუნქცია-მოვალეობებს.</p>	<p>მართვის ცენტრი „112“-ის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის ბრძანება;</p> <p>5. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანება</p> <p>6. „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანება</p> <p>7. შსს-ში შემავალი სტრუქტურული ერთეულების დებულებები.</p> <p>8. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ზარის მიმღებ დარბაზში ქცევის</p>	
--	---	--	--

		<p>სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორის ბრძანება;</p> <p>9. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატიული მართვის სამმართველოს მომსახურების სტანდარტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორის ბრძანება.</p> <p>10. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების</p>	
--	--	--	--

		მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორის ბრძანება	
3. საჭირო სამართლებრივ ტერმინთა განმარტება	<p>1. სწორად აღწერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ ტერმინებს;</p> <p>2. განმარტავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძირითად დებულებებს;</p> <p>3. განასხვავებს სისხლის სამართლის დანაშაულს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისგან;</p> <p>4. სწორად განმარტავს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში არსებულ ტერმინებს.</p>	<p>1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;</p> <p>2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;</p> <p>3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;</p> <p>4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.</p>	ტესტური დავალება

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. რეკომენდაციები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	დოკუმენტაცია მსმენელის პორტფოლიოსთვის
1.	<ul style="list-style-type: none"> პროფესიის არსი და პროფესიული ვალდებულებები; ეთიკის ნორმები და მისი დაცვა; ზარის მიმღები ოპერატორი/დისპეტჩერის ქცევის სტანდარტი და მისი დაცვა; საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები; ზარის მიმღები ოპერატორისთვის/დისპეტჩერისთვის მუშაობის პროცესში შემოსული 	<ul style="list-style-type: none"> ინტერაქტიული ლექცია დისკუსია ვიდეო ჩვენება ჯგუფებში მუშაობა 	<p>პრაქტიკული დავალება</p> <p>ინსტრუქტორი აძლევს მსმენელს პრაქტიკულ დავალებას, რომლის ფარგლებშიც იგი ამზადებს წერილობით ანგარიშს, რომელიც</p>	<p>შესრულებული დავალების მასალები</p> <p>შემფასებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/ კითხვარი/ შეფასების ფურცელი, ან/და კანდიდატის/ შესაფასებელი პირის მიერ ამოხსნილი პრაქტიკული</p>

	<p>სიახლეების ინფორმაციის მიღების საშუალებები;</p> <ul style="list-style-type: none"> • ზარის მიმღები ოპერატორისთვის/დისპეტჩერისთვის მუშაობის პროცესში შემოსული სიახლეების სახეები; • სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (შემდგომ - სდს) ობიექტის სამუშაო რეჟიმები - სამუშაო დღის ხანგრძლივობა, მუშაობა ცვლებში, სამუშაო გარემო (ღია სივრცე, დახურული შენობა, ხმაური, სიმაღლე და სხვა); • სდს-ის ობიექტის სამუშაოზე მიღების პირობები, პროცედურა, დოკუმენტაცია. 		<p>მოიცავს მისი შესაძლებლობების და ძლიერი მხარეების აღწერას მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროფესიული ზრდისკენ მიმართულ მიზნებსა და თვითგანვითარების გეგმას.</p>	<p>დავალებები/ამოცანების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი; კანდიდატის/შესაფასებელი პირის მიერ მომზადებული პრეზენტაცია/შექმნილი გეგმა/დოკუმენტი.</p>
2.	<ol style="list-style-type: none"> 1. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შინაგანაწესი და მისი დაცვა; 2. სუბორდინაციისა და კოორდინაციის პრინციპი და მათი დაცვა; 3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები და მათთან კომუნიკაცია; 4. საქართველოს სახელმწიფო მოწყობა; 5. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მოქმედი სამართლებრივი ნორმები; 6. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები; 	<p>სასწავლო პრაქტიკა პრაქტიკის ობიექტზე /სდს ობიექტზე</p>	<p>პრაქტიკული დავალება პრაქტიკული დავალება შესწავლილი თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენება.</p>	<p>შესრულებული დავალების მასალები შემფასებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი, ან/და კანდიდატის /შესაფასებელი პირის მიერ ამოხსნილი პრაქტიკული დავალებები/ამოცანების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი; კანდიდატის/შესაფასებელი პირის მიერ მომზადებული პრეზენტაცია/შექმნილი დოკუმენტი.</p>

	<p>7. მომიჯნავე სამსახურების სახეები და მათი ფუნქცია-მოვალეობები;</p> <p>8. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ზარის მიმღებ დარბაზში ქცევისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატიული მართვის სამმართველოს მომსახურების სტანდარტები;</p> <p>9. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული, საქართველოში მოქმედი ძირითადი ნორმატიული აქტების სახეები;</p>			
3.	<ul style="list-style-type: none"> • სამსახურებრივ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან; • საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ძირითადი თემატიკის სახეები და მათი განმარტება; • საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებულ ტერმინთა სახეები და მათი განმარტება; • საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. • საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. 	<p>პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული სავარჯიშო, სიმულაცია/როლური თამაში, პრობლემის განხილვა-გადაჭრა.</p>	<p>პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი - დემონსტრირებისას და ჯგუფში მონაწილეობისას.</p>	<p>შესრულებული დავალების მასალები შემფასებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი, ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს კანდიდატის მიერ დავალების შესრულების პროცესს, კითხვარი (ჩეკლისტი), ფოტოსურათი ან ვიდეო.</p>

<p>დამატებითი რეკომენდაციები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში)</p>	<p>მოდული „შესავალი პროფესიაში“ - ზარის მიმღები დარბაზის ოპერატორ/დისპეტჩერისთვის უნდა განხორციელდეს სწავლის საწყის ეტაპზე.</p>
--	---

3.2. საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით			
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	სულ
1	6	3	2	11
2	6	3	2	11
3	6	-	2	8
სულ	18	6	6	30

მოდული - შრომის უსაფრთხოება

1. ზოგადი ინფორმაცია

სახელწოდება:

სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება

მოდულზე დაშვების წინაპირობა:

ოპერატორობის და დისპეტჩერობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ტესტირებისა და გასაუბრების წარმატებით გავლა.

მოდულის აღწერა:

მოდულის დასრულების შემდეგ ოპერატორობის/დისპეტჩერობის კანდიდატს ექნება სათანადო ცოდნა, რომელიც ესაჭიროება პრაქტიკული საქმიანობის სრულფასოვნად და უსაფრთხოდ განხორციელებისთვის.

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
<p>სახანძრო უსაფრთხოების წესების შესწავლა დაეხმარება კანდიდატებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების გაცნობიერებაში და შესაბამისი უნარ-ჩვევების შეძენა-ჩამოყალიბებაში, რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობს მათ უსაფრთხოდ განახორციელონ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი.</p>	<p>სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გააცნობიერონ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო პრინციპები და შეძენილი ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკული საქმიანობის სრულფასოვნად და უსაფრთხოდ განხორციელებისათვის.</p>	<p>ა) „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი. ბ) „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილება</p>	

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. რეკომენდაციები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	დოკუმენტაცია მსმენელის პორტფოლიოსთვის
	<p>ა) სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტები; სახანძრო უსაფრთხოების ორგანიზაციული ღონისძიებები და ზომები ადამიანთა მასობრივი თავშეყრის შენობა-ნაგებობებში;</p> <p>ბ) შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, მოქმედებები ხანძრის დროს.</p>	<p>ლექცია-პრეზენტაცია -თემატიკის შესაბამისი თეორიული მასალის ახსნა; საკითხის განხილვა-დისკუსია.</p>	<p>პრეზენტაციის წარმოდგენა</p>	

3.2. საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა

აღნიშნული თემებზე ლექციის წაკითხვისათვის საჭიროა 2 აკადემიური საათი.

მოდული - ეფექტური კომუნიკაცია

1. ზოგადი ინფორმაცია

სახელწოდება:

ეფექტური კომუნიკაცია

მოდულზე დაშვების წინაპირობა:

ოპერატორობის და დისპეტჩერობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ტესტირებისა და გასაუბრების წარმატებით გავლა.

მოდულის აღწერა:

მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ზეპირი კომუნიკაცია და აქვს წერილობითი უნარები სწავლებასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ადამიანებთან ურთიერთობა განსხვავებულ სიტუაციებში; ემოციების/სტრესის მართვა; კონფლიქტური სიტუაციების მართვა.

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
<p>1. ზეპირი კომუნიკაცია სწავლებასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. აღწერს კომუნიკაციის ეტაპებს; 2. აღწერს ზარის მოსმენის პროცესის სტადიებს, მისი ეფექტიანობის გაზრდის საშუალებებს; 3. გადმოსცემს მოსმენილი ინფორმაციის შინაარსს ძირითადი ლექსიკის, სტილისა და გრამატიკის გამოყენებით; 4. სიტუაციის გათვალისწინებით, განსაზღვრავს საუბრის მიზანს; 5. სიტუაციის გათვალისწინებით, სწორად ირჩევს საუბრის წარმართვის სტრატეგიას; 6. სწორად სვამს კითხვებს დისკუსიაში მონაწილეობისას; 7. აქტიური მოსმენის ტექნიკა; 8. კითხვები ზუსტი ინფორმაციის მისაღებად. 	<p>საუბრის წარმართვის სტრატეგიები: პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაციის შემცველ საკითხებზე საუბრის სტრატეგია; ზარის ინიციატორთან მოლაპარაკების წარმოების სტრატეგია; კითხვების დასმის ფორმა და სტრატეგია;</p>	<p>პრაქტიკული დავალება</p>
	<ol style="list-style-type: none"> 1. აყალიბებს ინტერპერსონალური უნარების არსსა და მნიშვნელობას პიროვნებებთან ურთიერთობისას; 2. სწორად განსაზღვრავს ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე მოქმედ ფაქტორებს; 3. სწორად განსაზღვრავს საურთიერთობო სიტუაციას; 	<p>ინტერპერსონალური უნარები: ინიციატივის გამოვლენა; თანამშრომლობა; მხარდაჭერა; მოლაპარაკება; დარწმუნება; გავლენა; მოტივირება; ლიდერობა. ფაქტორები: კულტურა; სოციალური ნორმები; გენდერი; ასაკი; ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობები.</p>	<p>პრაქტიკული დავალება</p>

<p>2. ადამიანებთან ურთიერთობა განსხვავებულ სიტუაციებში</p>	<p>4. განსხვავებული ტიპის ადამიანებთან ურთიერთობისას სწორად აყალიბებს ინტერაქციის მიზანსა და მიმართულებას; 5. სწორად აღწერს განსხვავებული კულტურის ადამიანებთან ურთიერთობის თავისებურებებს; 6. საურთიერთობო სიტუაციის წარმართვა აუდიტორიისა და მიზნის გათვალისწინებით; 7. სწორად აღწერს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებსა და მანიშნებლებს.</p>	<p>საურთიერთობო სიტუაცია: ნაცნობი; უცნობი; სტაბილური; დამაბული. განსხვავებული ტიპის ადამიანები: სხვადასხვა პროფესიული წრეების წარმომადგენლები; არავერბალური კომუნიკაციის ფორმები: გარეგნობა; ხმის ტონი და ტემბრი; სხეულის ენა; გამომეტყველება და თვალთ კონტაქტი; ჟესტები; შეხება და პიროვნული სივრცე.</p>	
<p>3. ემოციების/სტრესის მართვა</p>	<p>1. სწორად აყალიბებს ემოციების მართვის თეორიებს; 2. ამოიცნობს და რეაგირებს სხვის ემოციებზე; 3. მართავს საკუთარ ემოციებს; 4. სიტუაციის შესაბამისად ახორციელებს სტრესის მართვას; 5. სწორად რეაგირებს სტრესულ გარემოში მყოფი ინიციატორისგან მიღებულ ინფორმაციაზე.</p>	<p>ემოციები: ემოციების გამოხატვის ფორმები, ემპათია, ასერტიულობა;</p>	<p>პრაქტიკული დავალება</p>
<p>4. კონფლიქტური სიტუაციების მართვა</p>	<p>1. სწორად აყალიბებს კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის და განვითარების თეორიას; 2. სწორად აღწერს კონფლიქტურ მოქალაქესთან ურთიერთობის სტრატეგიებს; 3. დავალების შესაბამისად ირჩევს კონფლიქტის გადაჭრის გზებს.</p>	<p>სრულად არის ასახული შესრულების კრიტერიუმებში</p>	<p>პრაქტიკული დავალება</p>

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. რეკომენდაციები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

3.2. საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	დოკუმენტაცია მსმენელის პორტფოლიოსთვის
1.	<ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაციის პროცესი: ელემენტები, ეტაპები, ზემოქმედი ფაქტორები; • კომუნიკაციის სახეებისა და არხების შერჩევა-გამოყენება; • ზეპირი კომუნიკაციის პროცესი: ინფორმაციის გადაცემა/მიღება; ხელისშემშლელი პირობები; • კომუნიკაციის დაგეგმვა და ინფორმაციის გადაცემისთვის მოსამზადებელი სამუშაოები; • ზარის მოსმენის პროცესი: სტადიები, არხები, სტილები; • ზარის მოსმენის ეფექტიანობის გაზრდის საშუალებები ინფორმაციის მიღების, გაგების, დამახსოვრების, შეფასების და უკუკავშირის დროს; • საუბრის დაგეგმვა და წარმართვა; • სწორი ვერბალური კომუნიკაცია; • დისკუსია/დებატებში მონაწილეობა: კითხვების დასმისა და 	<p>ლექცია და დემონსტრირება, დისკუსია, პრაქტიკული დავალება, შემთხვევის შესწავლა, როლური თამაში, ვიდეო რგოლის ყურება</p>	<p>ინსტრუქტორი მსმენელს განუსაზღვრავს შესასრულებელ პრაქტიკულ დავალებას, დავალების შესრულების პროცესში აფასებს და პარალელურად სტუდენტს თეორიულ საკითხებს გამოკითხავს.</p>	<p>გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მასალები</p> <p>ა) ზეპირი: ინსტრუქტორი/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი;</p> <p>ბ) წერილობითი: მსმენელის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.</p> <p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მასალები</p> <p>ინსტრუქტორის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს კანდიდატის მიერ დავალების შესრულების პროცესს.</p>

	<p>არგუმენტირების ტექნიკები;</p> <ul style="list-style-type: none"> • პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაციის შემცველ საკითხებზე საუბრის სტრატეგიები; • გასაუბრების პროცესი და მისი თავისებურებანი. 			
<p>2.</p>	<ul style="list-style-type: none"> • პერსონალური უნარები და მათი მნიშვნელობა პიროვნებებთან ურთიერთობების წარმართვისათვის; • ძირითადი ინტერპერსონალური უნარები, (მიზნების დასახვა, მხარდაჭერა, ლიდერობა, ქოუჩინგი, დარწმუნება, გავლენა, მოლაპარაკება, ინიციატივის გამოვლენა, მოტივირება), მათი არსი და განვითარების აქტივობები; • ინტერპერსონალური ურთიერთობის პროცესი: სტრუქტურა, ზემოქმედი ფაქტორები (კულტურა; სოციალური ნორმები; გენდერი; ასაკი; ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობები); • პიროვნული განსხვავებები და მათი გათვალისწინების აუცილებლობა 	<p>ლექცია, დემონსტრირება, საკლასო დისკუსია, როლური თამაში, შემთხვევის შესწავლა, პრაქტიკული დავალება, ვიდეორგოლების ყურება.</p>	<p>ზეპირი ან/და წერილობითი გამოკითხვა, განხილვებსა და დისკუსიებში მონაწილეობაზე დაკვირვება, კანდიდატის განსაზღვრული პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება და შეფასება.</p>	<p>გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი დოკუმენტაცია</p> <p>ა) ზეპირი: ინსტრუქტორის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი;</p> <p>ბ) წერილობითი: კანდიდატის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.</p> <p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულ დოკუმენტაცია</p> <p>ინსტრუქტორის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს კანდიდატის მიერ დავალების შესრულების პროცესს.</p>

	<p>პერსონალური ურთიერთობისათვის;</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერპერსონალური ურთიერთობის ეფექტიანობის გაზრდის რეკომენდაციები; • ეროვნული და კულტურული იდენტობის გაცნობიერება და პატივისცემა; • განსხვავებული შეხედულებების დანახვა და პარალელურად საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება; • არავერბალური კომუნიკაცია: მიზნები, სტრუქტურა, ფუნქციები; • არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (გარეგნობა; ხმის ტონი და ტემბრი; სხეულის ენა; გამომეტყველება და თვალით კონტაქტი; შესტები; შეხება და პიროვნული სივრცე); • ურთიერთობის მანძილი და სივრცე: არსი, სტრუქტურა, კორექტულად გამოყენების მნიშვნელობა; 			
--	--	--	--	--

<p>3.</p>	<ul style="list-style-type: none"> • სპეციფიკური ზარების სახეები; • სპეციფიკური ზარების ინიციატორების ჯგუფებად დაყოფის პრინციპები; • სპეციფიკური ზარების იდენტიფიკაცია; • სპეციფიკური ზარის მართვა; • სპეციფიკური ზარების სირთულის განსაზღვრა; • კონფლიქტის არსი და სახეები, კონფლიქტების მართვა; 	<p>ლექცია, პრაქტიკული სავარჯიშო/დავალება</p>	<p>ინსტრუქტორი კანდიდატს განუსაზღვრავს შესასრულებელ პრაქტიკულ დავალებას, დავალების შესრულების პროცესში აფასებს და პარალელურად კანდიდატს თეორიულ საკითხებს გამოკითხავს.</p>	<p>გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მასალები</p> <p>ა) ზეპირი: ინსტრუქტორის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი;</p> <p>ბ) წერილობითი: კანდიდატის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.</p> <p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მასალები</p> <p>ინსტრუქტორის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს კანდიდატს მიერ დავალების შესრულების პროცესს.</p>
